

შპს „ავტოგაზ-კავკაზ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	5
1. კორპორატიული ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი.....	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	7
4. ძირითადი საშუალებები.....	11
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	11
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11
7. მარაგები.....	12
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	12
9. სესხები	13
10. ამონაგები.....	13
11. საერთო დ ადმინისტრაციული ხარჯები	13
12. პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

შპს "ავტოგაზ-კავკაზ"

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		12/31/2024	12/31/2023
ამონაგები	10	3,372,506	2,252,438
თვითღირებულება		(2,833,068)	(1,701,663)
საერთო მოგება		539,438	550,775
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(124,648)	(106,994)
საოპერაციო მოგება		414,789	443,781
ფინანსური შემოსავალი		5,927	6,116
ფინანსური ხარჯი		(51,815)	(41,498)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(12,074)	(86,009)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(57,961)	(121,391)
მოგება დაბეგვრამდე		356,828	322,390
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		356,828	322,390
მთლიანი სრული შემოსავალი		356,828	322,390

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:


დირექტორი  3. ხანოიან

შპს "ავტოგაზ-კავკაზ"
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

		12/31/2024	12/31/2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	626	827
		626	827
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	300,491	202,151
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	226,681	115,693
მარაგები	7	728,874	1,054,955
საგადასახადო აქტივები		37,675	32,496
		1,293,721	1,405,295
მთლიანი აქტივები		1,294,347	1,406,122
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		691,207	426,037
		691,207	426,037
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	420,765	883,635
		420,765	883,635
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	37,829	7,484
საგადასახადო ვალდებულებები		1,184	-
გადასახდელი პროცენტი		143,362	88,966
		182,375	96,450
მთლიანი ვალდებულებები		603,140	980,085
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,294,347	1,406,122

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი  3. ხანოიან


შპს "ავტოგაზ-კავკაზ"
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2023 წლის 31 დეკემბერი	-	426,037	426,037
პერიოდის სრული შემოსავალი		356,828	356,828
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	(91,658)	(91,658)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-		-
2024 წლის 31 დეკემბერი	-	691,207	691,207

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი



ჰ. ხანოიან

შპს "ავტოგაზ-კავკაზ"
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2024	2023
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული თანხები	3,984,712	5,087,697
მოწოდებისა და მომსახურებისთვის გადახდილი თანხები	(2,751,695)	(4,841,156)
გადახდილი ხელფასები	(56,400)	(42,100)
გადახდილი გადასახადები	(609,300)	(655,883)
სხვა ფულადი ხარჯები	(3,206)	(3,059)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	564,111	(454,501)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	-
ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი პროცენტები	(1,000)	-
დაფარული სესხები	(707,015)	(327,532)
სესხის მიღება	247,028	767,627
საპროცენტო შემოსავალი	5,927	-
კაპიტალში თანხის შეტანა	-	-
კაპიტალიდან თანხის გატანა	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	(455,060)	440,095
წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდში	109,051	(14,406)
საკუროს სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(10,711)	(3,548)
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	202,151	220,105
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	300,491	202,151

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 30 სექტემბერს:

დირექტორი ----- ზ. ხანოიან

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს ავტოგაზ-კავკაზ (შემდგომში „კომპანია“) დარეგისტრირდა 2018 წლის თებერვალში როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (რეგისტრაციისა და საგადასახადო ID: 406237335) საქართველოს რეგულაციების შესაბამისად და მდებარეობს საქართველოში.

კომპანიის რეგისტრაციის მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, ჯავახეთის ქუჩა N64

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით.

კომპანიის დამფუძნებლები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან:

დამფუძნებელი	რეგისტრაციის ადგილი	2023 წლის 31 დეკემბერი
ჰრაჩია ხანოიან (BA2216141)	სომხეთი	100%

2024 წლის განმავლობაში კომპანიაში თანამშრომლების საშუალო რაოდენობა იყო 4 ადამიანი.

2. შედგენის საფუძველი

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის (ბასს-ს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია ოპერირებს მოქმედი საწარმოს პრინციპით.

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე და ისტორიული ღირებულების კონვენციის შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, ვინაიდან ეს ვალუტა საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ძირითადი მოვლენებისა და ტრანზაქციების ეკონომიკურ შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ქართულ ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ლარამდე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა

3.1) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

3.2) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

2024, 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის და მოსალოდნელია, რომ გამოყენებულ იქნება ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში აისახება თვითღირებულებით გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის გადასახდელებს და სხვა დაუბრუნებად გადასახადებს და სხვა პირდაპირ მისაკუთვნებულ ხარჯებს. როდესაც ძირითადი საშუალებები მოიცავს სხვადასხვა ძირითად კომპონენტს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, ისინი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ელემენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან ან გაყიდვიდან, განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში.

ცალ-ცალკე აღრიცხული ძირითადი საშუალებების კომპონენტის შეცვლაზე გაწეული ხარჯი კაპიტალიზდება ჩამოწერილი კომპონენტის საბალანსო ღირებულებით. კიდევ ერთი შემდგომი ხარჯი კაპიტალიზდება, თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება აღნიშნული დანახარჯებიდან. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის რემონტი და კეთილმოწყობა, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში გაწეული ხარჯის ოდენობის შესაბამისად.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

კომპანია იყენებს ამორტიზაციის წრფივი დარიცხვის მეთოდს და სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია შემდეგნაირად:

სატრანსპორტო საშუალება - 10 წელი;

საოფისე ტექნიკა ავეჯი და ინვენტარი - 4-5 წელი; სხვა - 2-5 წელი.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ძირითადი საშუალებები განიხილება გაუფასურებისთვის, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილება მიუთითებს იმაზე, რომ მათი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. ანაზღაურებადი თანხა არის ყველაზე მაღალი წმინდა გასაყიდ ფასსა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების ზარალი აღიარებულია ხარჯად

დაუყოვნებლივ.

როდესაც გაუფასურების ზარალი შემდგომში საპირისპიროდ იცვლება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის გაუფასურების გარეშე. გაუფასურების ზარალის საპირისპიროდ ცვლილება აღიარებულია შემოსავლად დაუყოვნებლივ.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით.

გაყიდვების უმეტესობა ხდება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას არ ერიცხება პროცენტი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი“ მეთოდით.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შემოსავალი

შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების ნორმალურ მსვლელობაში მიწოდებულ თანხებს, ფასდაკლებების, მოცულობის ფასდაკლებისა და გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადების გარეშე.

საქონლის მიწოდება / მომსახურების გაწევა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები. კომპანია ძირითადად ეწევა მომსახურების საცალო რეალიზაციას და შემოსავლის აღიარება ხდება მომსახურების გაწევისთანავე. ცალკეულ შემთხვევაში კომპანია მომსახურებას უწევს იურიდიულ პირებს შესაბამისი შეთანხმებების საფუძველზე. ასეთი მიწოდებიდან/მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც სამუშაოს შესრულება მომსახურების სპეციფიკაციების შესაბამისად, კლიენტთან შეთანხმებული და დასრულებულია.

გადასახადები

საქართველოში მოქმედი დაბეგვრის მოდელი, („მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელი“) გულისხმობს მოგების გადასახადის ნულოვან განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან მოგების გადასახადის განაკვეთს განაწილებულ მოგებაზე. შედეგად, კომპანიები იხდიან კორპორაციულ საშემოსავლო გადასახადს მოგების განაწილებაზე (მოგება, რომელიც ნაწილდება აქციონერებზე დივიდენდების სახით) და ცალკეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლის არაპირდაპირ განაწილებად (სარგებელი, საჩუქრები, გადახდები, არასაბაზრო პირობებით განსაზღვრული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და ა.შ.).

კორპორატიული მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღიარებულია ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადებულია დივიდენდები, მიუხედავად რეალური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომელზედაც ნაწილდება დივიდენდები. გადასახადის განაკვეთი არის წმინდა განაწილების თანხის 15/85.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 12-ში საშემოსავლო გადასახადები, არ არის წარმომოხილი.

4. ძირითადი საშუალებები

	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2023	595	572	1,167
შემოსვლა			
გასვლა			
31 დეკემბერი 2024	595	572	1,167
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2023	(225)	(115)	(340)
პერიოდის ცვეთა	(85)	(116)	(201)
გაუფასურება			
გასვლა			
31 დეკემბერი 2024	(310)	(231)	(541)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2023	370	457	827
31 დეკემბერი 2024	285	341	626

5. ფული და ფული ექვივალენტები- წარმოადგენს კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებულ ფულად სახსრებს, როგორც ეროვნულ ასევე უცხოურ ვალუტაში

	2024	2023
ნაღდი ფული საღაროში	49	23,837
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	142,542	176,748
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	157,900	1,565
სულ	300,491	202,151

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები - არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან საქონლის მიყიდვის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. საანგარიშო პერიოდში ადგილი არ ქონია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას.

	2024	2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	17,205	22,360
გადახდილი ავანსები	209,476	93,333
სულ	226,681	115,693

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანია შპს ავტოგაზ-კავკაზის ძირითადი საქმიანობა არის საბითუმო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით. მარაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს სხვადასხვა სახის გაზის ბალონები. კომპანია ეწევა მათ იმპორტს და შემდგომ ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვას. 2024 წლის დასასრულისთვის მარაგების ღირებულება შეადგენს 728 874 ლარს.

	2024	2023
საქონელი	728,274	1,054,955
სხვა	600	
სულ	728,874	1,054,955

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ტიპის ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარეს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. **გადასახდელი ხელფასები** - წარმოადგენს თანამშრომლებზე დარიცხულ ხელფასებს, რომლის გაცემაც არ მომხდარა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

	2024	2023
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	37,829	6,804
მიღებული ავანსები	-	680
სულ	37,829	7,484

9. სესხები

სესხები აღებულია კომპანიის ბიზნეს-საქმიანობის წარმართვის მიზნით. კომპანიას ყველა სესხი აქვს აღებული დამფუძნებლისაგან, ჰრაჩია ხანოიანგან, რომელიც ფლობს კომპანიის 100% წილს. სესხები აღებულია საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.

	2024	2023
გრძელვადიანი სესხები	420,765	883,635
სულ	420,765	883,635

10. ამონაგები

ამონაგები - მოიცავს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის შედეგად მიღებულ შემოსავალს. ამონაგების აღიარება ხდება მიწოდებული მომსახურების მყიდველის მიერ ჩაბარების საფუძველზე. შემოსავალის აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე

	2024	2023
საქონლის რეალიზაცია	3,459,294	2,252,438
მომსახურება	1,017	
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(87,805)	
სულ	3,372,506	2,252,438

11. საერთო დ ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოადგენს კომპანიის საოპერაციო ხარჯების შემადგენელ მუხლს, რომელშიც ერთიანდება კომპანიის ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები. ხარჯები აღიარდება მათი გაწევისთანავე ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გადახდის მოუხედავად. ხარჯები აღიარდება შესაბამისი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე.

	2024	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	(201)	(177)
შრომის ანაზღაურება	(70,867)	(52,931)
საპენსიო ხარჯი	(367)	(306)
საიჯარო ქირა	(33,360)	(32,450)
საოფისე ხარჯები	(247)	
კომუნიკაციის ხარჯი	(1,656)	(1,555)
კომუნალური ხარჯები	(1,887)	(1,307)
საკონსულტაციო ხარჯები	(9,700)	(10,841)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(73)	
საბანკო მომსახურება	(3,206)	(3,073)
სხვა საერთო ხარჯი	(3,084)	(4,354)
სულ	(124,648)	(106,994)

შპს “ავტოგაზ-კავკაზ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საწყობი, რომელშიც ასაწყობებს საქონელს და ასევე ახორციელებს გაყიდვის ოპერაციებს.

იჯარის ხელშეკრულების დაწყების ვადა არის 06.03.2018 წელი. იჯარის ყოველთვიურ საფასურს წარმოადგენს 1,000 დოლარს (გადახდის დღის ექვივალენტ ლარში), საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას არ ყავს ურთიერთდაკავშირებული კომპანია.

ფინანსური რისკის ფაქტორები

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკებს, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. საკურსო სხვაობები ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სესხებიდან, იჯარიდან და უცხოელი მომწოდებლებიდან, რომლებიც დენომინირებულია აშშ დოლარსა და ევროში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო საპროცენტო განაკვეთების მერყეობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან მისი საქმიანობის შედეგებზე.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია არ ექვემდებარება მატერიალური საპროცენტო განაკვეთის რისკს.

ლიკვიდურობის რისკი

შპს “ავტოგაზ-კავკაზ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.